

გაზეთი ღირს:

Table with 2 columns: თვე (Month) and მან. კ. (Cents). Rows include months from 12 to 7.

ცალკე ნომერი—ერთი შაურია

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქციის მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა... გაზეთის დასაბარებლად... ფასი განცხადებას...

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ივერიის

ღარიბ ზამარინს ასული და ელისაბედ სერგეის ასული მირზოაპისანი და კნინა გარია ივანეს ასული არღუთინსკი-დოლოგოვსკისა გულითადი მწუხარებით აღუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას...

მინა ივანეს ქის მირზოაპისას.

პანაშვილი ყოველ დღე არის საღამოს 6 საათზე, ორთაქალაში, საკუთარს სახლში. მიცვალბულის გვამს გასვენებენ ხუთშაბათს, 24 სექტემბერს, ვანქის ტაძარში, დილის 9 საათზე, დასაფლავებენ სოფ. თელეთში საგვარეულო აკლდამაში.

ასათიანის ასული ნინო ილურიძისა გულითადი მწუხარებით აღუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თვისის მეუღლის გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის

მიხეილ ილურიძის

გარდაცვალებას და სთხოვს მოხრახუნდნენ, ხუთშაბათს, 24 სექტემბერს, გორში, სადაც დაკრძალულ იქნება განსვენებულის გვამი.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუთხაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა. დიდობით: ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ.

ფელეტონი

საიდუმლო სახლი (მოთხრობა ლ. ბრენენდორფისა) (შემდეგი *) II

გალიგერი მარტოდ იყო ოთახში. მომვლელი ორის დღის შემდეგ ოთახიდან გავიდა და აღარ შემოსულა. მისი თვალეზი აქეთ-იქით ძვირფასს ნივთებს აშტრედებოდა. ჭრილობა დრო-გამოშვებით საშინლად აღონებდა და თავ-დავიწყებას ეძლეოდა, თუმცა დაყუჩების დროს ნათლად ჰგრძობდა თავის მდგომარეობას.

სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი. ე. მ. ჩაქაგანი, 9—10 საათ. სწეულბანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა. მკურნალი-ქალი. ა. ა. რუდეკო. 10 1/2—11 1/2 საათ. ქალთა სენით

გონა ასეთი მშვენიერი, ასეთი ნაზი ხმა. სურვილი აღძრა მისის დანახვისა. ძალ-დატანებით წამოიწია და ბალისკენ გაიხედა, სადაც შეაჩნია ის, ვისაც ეძებდა. გასუფთავებულ-გალამაზებულ ბუჩქყვავილთ შუა, რომლებიც მწკრივად თითქმის სახლამდის იყო ჩარეგბული, დასერილობდა მოხდენილი, ღამაში ქალი, რომელსაც სუბტი მუქის ფერი ტანსაცმელი ეცვა და ხელში ყვავილის კონა ეჭირა; ხანდახან იგი დაიხრებოდა ხოლმე ყვავილების დასაკრებად. აღტაცებულ შესტყეროდა მხატვარი ამ მიზიდველ ცქიალა ქალს და იმის ლოდინში იყო, ნეტა როდის მოიხედავს ჩემკენაო. ყმაწვილი ქალი ინდოელს ელაპარაკებოდა. უცბად იგი მოტრიალდა გალიგერისკენ და ყმაწვილს კაცს აღტაცება დაეტყო სახეზე, ისეთი მშვენიერი იყო.

და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუტყრის. ზ. ა. პანასიანსა. — დილის 11 1/2—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს. ა. ზ. კარაბეგაძესა. 1—1 1/2 საათ. შინაგანი და ბავშვებისა. ა. გ. გურგია. 1 1/2—2 1/2 ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ. სადამოაობით: გ. მ. მახვილაძე. — 6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ. ბ. ა. ნავასარდიანი — 6 1/2—7 საათ. ტ. ა. რუდეკო — სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; დარიგების უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით. დირექტორი სამკურნალო საექსპერტო-მედიცინის ნავასარდიანი. Первая частная лечебница Д-ра Навасардиана. Тифлиси, противъ памяти. Воронцову. (7)

კვილის აქიმი ა. გ. სოლოლაშვილი მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დან 2 მდე და ნაშუადღვის 5-დან 7-მდე. მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—10)

რომელიც რამდენიმე ხნის წინად ახალგაზდა ქალს ეჭირა. ნეტარის გრძობით აღევსო გული და თაიგულს ხელი გაუწოდა. ამ დროს იმის მხარს ქან ტომასონის ხელი შეეხრა და აღერსიანი ხმა მოესმა: — ნუ ჰბრუნავთ, გავნებთ. მკურნალმა ლინდენმა მოძრაობა აღვიკრძალათ. ის იყო გალიგერს თაიგულის შესახებ უნდა ეკითხა რამე, მაგრამ არჩია, რომ საიდუმლოდ შეენახა ახალგაზდა ქალის მხრივ ასეთის თავზიანობის ამბავი და ამიტომ გაჩუმდა. — ლინდენმა არ დაუგვიანა ავადმყოფს ნახვა. დაინახა თუ არა ყვავილები, მომვლელს შეეკითხა: — თაიგული აქ რად არის? ხომ კარგად იკით, რომ ავადმყოფის ოთახში ყვავილების შეტანა არ შეიძლება! ქალმა ღიჯად უპასუხა: — ელლიმ მოხოვა თაიგულის აქ მოტანა. თაიგულში ხომ სურნელოვანი ყვავილები არ ურევია. — სულ ერთია, მე გთხოვთ... ის იყო ხელი გაიწოდა თაიგული-საკენ, მაგრამ გალიგერი ჩაერია ლაპარაკში. — მკურნალი, მე საკუთრებად მიმანჩია ეს ყვავილები და გთხოვთ აქ დასტოვოთ. ის ვნება, რომელიც ამას შეუძლიან ჩემთვის, სრულიად არად ჩასაგდება იმ სიამოვნებასთან შედარებით, რომელსაც ამ ეამად ვგრძნობ. თუ არა ვცდები, ყვავილები თქვენმა ქალმა გამომიგზავნა

მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნენ დიმიტრი ზურაბიშვილი — ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას ფოსტალონი; ზ. ქაბა ფორაქაშვილი — ტფილისის სასახლის მატარებლის კანტორის მოსკოვად. გადაყვანილ იქმნენ: ფოსტა ტელეგრაფის კანტორას მოსკოვანი დუშეთისა სსლან ქენია და გუდაუთასა სამონ პაიქაძე — ერთი მეორას ადგილზე; ფოსტალონი: თუქუჩაშვილისა ბესარიან ხახალიშვილი და თინათინა სოლომონ ჩრ დილეი — ერთი მეორას ადგილზე და ბათუმისა ალექსანდრე მხეიძე — ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

ახალი ამბავი

დღეს, 22 სექტემბერს, ნაშუადღევს 5 საათზე, ტფილისში ჩამოვა გზათა მინისტრის ამხანაგი გენერალ-ლეიტენანტი პეტროვი. * 19 სექტემბერს, ტფილისში ჩამოვიდა რკინის გზათა მთავარი ინსპექტორი გორჩაკოვი. გორჩაკოვი ხვალ, 23 სექტემბერს, ბორჯომში აპირებს წასვლას, იქიდან 24 სექტემბერს ტყვიბულს. 25 სექტემბერს და გთხოვთ მადლობა გარდაცვლილს მავივრად. როდესაც ჯანმრთელობა ნებას მომცემს, მე თითონ გარდავუხდი პირადად მადლობას. — სამწუხაროდ, უპასუხა ექიმმა დაუფარავად: ჩემი ქალი ავადმყოფობის მიზეზით ვერავის იკარებს სახანავად. — ჩვენ თუ იმ ახალგაზდა ქალის შესახებ ვლაპარაკობთ, რომელიც დღეს ბაღში ყვავილებს აგროვებდა, მწუხარებით სთქვა მხატვარმა: უნდა მოგახსენოთ, რომ გარეგანი შეხედულობით იგი ავადმყოფს სულ არა ჰგავს და... ლინდენმა ქულს სტაცა ხელი. იმის გაყვითლებულს სახეს სიბრაზე ეტყობოდა, როდესაც მან ლაპარაკი გააწყვეტინა გალიგერს. — მაინც-კი დამერწმუნეთ როგორც მამას და მკურნალს. როდესაც გუებნებით, ჩემი ქალი ავად არის-მეთქი, ძალიან ავად. ამას გარდა, უნდა იცოდეთ, რომ ამ გვარი ლაპარაკი ჩემთვის სასიამოვნო არ არის. ამის შესახებ შემდეგ მოგელაპარაკებით კიდევ. მშვილობით! ის ისეთი აჩქარებით გავიდა ოთახიდან, თითქოს ეშინიან, კიდევ არ შემაყენონ და არა მკითხონ-რაო. გალიგერი იმ ფიქრებით იტანჯებოდა, თუ რა ავადმყოფობა უნდა იყოს ისეთი, რომელსაც თავისს მსხვერპლად გაუხდია ეს მშვენიერი არსებაო, და მწუხარებით ათვალისწინებდა ყვავილებს, რომლებიც იმისთვის იყო მოტანილი.

ქიათურაში წავა და იმავე დღეს ბათუმში დაბრუნდება, ბათუმიდან სამტრედიაში, ხოლო იქიდან ეტლით ახალ-სენაკზედ გაივლის და შავის ზღვის ნაპირებისაკენ გაემგზავრება. * კვირას, 20 დეკემბერს, ავტოლის ქუჩაზედ, სახალხო კითხვების სადგომში გამართულ იქმნა სახალხო წარმოდგენა. ითამაშეს ა. ცაგარლის პიესა „ციმბირელი“. „ციმბირელი“ ამ სცენაზედ რამდენჯერმე უთამაშნათ, მაგრამ ისე კარგად და მწყობრად არც ერთხელ არ ჩაუვლია ამ პიესას, როგორც კვირას ჩაიარა. მოთამაშენი კარგად იყვნენ მომზადებულნი. საზოგადოდ, წელს, როგორც ამ პირველის წარმოდგენიდანა სჩანს, სცენის მოყვარეთა და ამ წარმოდგენების გამგეთ მეტი მეცადინეობა და დაკვირვება ეტყობათ. დარბაზი ხალხით იყო სავსე, ბევრი უადგილობის გამო უკან დაბრუნდა. საზოგადოებამ ხანგრძლივს ტაშის ცემით დააჯილდოვა მოთამაშენი. სამწუხაროდ, წარმოდგენა გვიან დაიწყეს, რადგანაც ამ დღეს სახალხო კითხვები იყო გამართული რუსულს ენაზედ. ბევრი ავლადობიდანაც-კი მოდის წარმოდგენაზედ დასასწრებლად და, სასურველია, აღრე გათავდეს ხოლმე, რომ დროთი შეეძლოს მუშა ხალხს შინ დაბრუნება. საქიროა სახალხო კითხვები, როდესაც გალიგერი-მა ფანჯარის ახლოს ნაცნობი ხმა გაიგონა. ეხლა-კი შეეძლო თავისუფლად წამოეწია და ბალისკენ გაეხედნა. ელლი მამასთან ხელი-ხელს გაყრილი დასერილობდა. მთელის ორის წამის განმავლობაში სტკებოდა გალიგერი იმის მშვენიერს სახის მხეცრით და ამოდ ეძებდა იმის ნახს სახეზედ რამე სენის ნიშანს. მართალია, რაღაცა კმუნვა შეაჩნია, სახეზედ, მაგრამ ყმაწვილის ქალის არც სახე, არც სიხარული არავითარს ავადმყოფობას არ ამჟღავნებდა. — საკვირველია! გაიფიქრა მან: იქნება ზეიდლორფმა ამისნა ეს ამბავი?! მეგობრისთვის ამის შესახებ არაფერი უკითხავს. მეორე დილას ლინდენი მივიდა და ტომასონი გაისტუმრა. მოხუცი ეხლა უფრო შუბლ-შეკრული იყო, ვიდრე წინა დღეებში. გულში რაღაცა დარდი უტრიალებდა, რომელიც ვერაფრით გაექარებინა. იგი მოუთმენლად დადიოდა ოთახში. რამდენიმე სიტყვით შეეკითხა გალიგერს, როგორა ხარო, როგორ გაატარე დამეო. როდესაც ავადმყოფმა დააჩქუნა, რომ კარგად და მოსვენებით მეძინაო, იგი ცოტად აღად დაშოშინდა. ავადმყოფის ნახვა ამით არ გათავდა. მკურნალი ოთახში სიარულის დროს ღრმა ფიქრს და სჯას მიეცა, მაგრამ მაინც ერთს აზრს უბრუნდებოდა. შემდეგ გალიგერს მიუბ.

*) იხ. „ივერია“, № 200.

საქართველოს

ხევის კომისიამ ამ გარემოებას ყუ-
რადღება მიჰქცია და როცა წარ-
მოდგენა, ადრე დაიწყო ხოლმე.
კვირას, თითქოს განგებ, კომისიამ
ორი სახალხო კითხვა დანიშნა.

••• როგორც ვწერდით, 19 სექ-
ტემბერს, ერევნის მოედანზედ მელ-
კოკოვის მალაზიას, ხარაზოვის სახლ-
ში უეცრად ცეცხლი წაეკიდა. პო-
ლიცია უკვე შეუდგა გამოძიებას და
ამ ცეცხლის გაჩენის მიზეზის გამოკ-
ვლევას. ვახუშტი, კავკასის სიტყვით,
პოლიციამ ისეთი ცნობები მოპოვა,
რომელიც საფიქრებელ ჰყოფენ,
რომ ცეცხლი ძალით წაუკიდეს. სა-
ყურადღებო ის არის, რომ ცეცხლი
ლამფისაგან გაჩნდა და ამავე დროს-
კი წაიკიდებულ, მაგრამ გადარჩენილ
ნივთებს თითქოს ბენზინის სუნის ას-
ლითა.

••• ტფილისის მართლ-მადიდებელ-
თა სემენარისთან არსებობს 1886
წლიდან ერთ-კლასიანი სამაგალითო
საეკლესიო-სამრევლო სკოლა, სა-
დაც სემენარის მე V და მე VI
კლასის მოსწავლენი პრაქტიკულად
ითვისებენ სწავლა-აღზრდის საქმეს.
ამ სკოლაში ბავშვებს უსაყიდლოდ
ასწავლიან. წელს შესვლის სურვილი
85 ბავშვმა განაცხადა, რომელთა
შორის მიღებულ იქნა მხოლოდ 72,
დანარჩენთ უადგილობის გამო უარი
გამოეცხადა. ეხლა სემენარის რეკ-
ტორს, არქიმანდრიტს ჰერმოგენს გა-
ნუზრახავს დააარსოს სკოლასთან
ორი პარალელი განყოფილება. ეს
განყოფილებანი ცალკე იქნება მო-
თავსებული სემენარის შენობაში.
ასწავლიან ბავშვებს, დიდაქტიკის მა-
სწავლებლის ხელმძღვანელობით, მხო-
ლოდ მე-VI კლასის მოსწავლენი.

••• 18 სექტემბერს კრება ჰქონდა
ქალაქის გამგეობასა და იმ კომისიას,

რონდა:

- ერთი პატარა სათხოვარი მაქვს.
- მიბრძანეთ, მე თქვენგან ისე
დიდადა ვარ დავალებული, რომ...
- სიტყვა მომეცით, რომ არავის,
თქვენს მეგობარს ექიმ ზეიდორფსაც
კი არ ეტყუთ ჩემის ქალის ავადყო-
ბობის ამბავს. ჩემთვის დიდად სამ-
წუხარო იქნება, თუ ეს ჩემი უბედულ-
რება გასაკიცხ და საჭორავ საგნად
გახდა.
- ხმის კანკალზედ ამჩნევდა ვალი-
გერი, რომ მოხუცი დიდად სწუხდა
და ამიტომ რაც შეიძლებოდა ალერ-
სიანად უპასუხა:
- რასაკვირველია, მკურნალო, პა-
ტიოსანს სიტყვას გაძღვეთ. მაგრამ
გთხოვთ კი მიამბოთ, არა მარტო
ცნობის-მოყვარეობისათვის, რა ავად-
ყოფობა აქვს თქვენს ქალს, რადგან
ნაც, გარეგანის შეხედულებით, ძნე-
ლად დასაჯერებელია მისი განუკუ-
რნავი ავადყოფობა.
- ღონდენმა კვლავ აჩქარებით დაი-
წყო ოთახში სიარული და შემდეგ
სკამზედ ჩამოჯდა.
- მაშ კარგი, რადგან ამდენი
იციო, ყველაფერს ვიამბობთ და მა-
შინ აღვიღებ ვაგიგებთ, რა ძვირად
მიღირს თქვენ მიერ მოცემულ პი-
რობის აღსრულება. უკვე გითხარით,
რომ ინდოეთში დიდხანს ვიცხოვრე
მეთქი. ახალგაზდა მკურნალი ვიყავი,
როდესაც იქ წავიდი, რათა მთლად
მიეცემოდი საბუნების-მეტყველო
მეცნიერულს კვლევა ძიებას. პირვე-

რომელსაც ცხენის რკინის გზის წა-
რმოება აქვს მინდობილი. კრებამ
განიხილა წინადადებანი სხვა-და-სხვა
ამხანაგობათა, რომელნიც თხოულობ-
დნენ ცხენის რკინის გზა ჩვენ გადმო-
გვეციოთ საწარმოებლად. ამასთან
კრებამ ფირმის „Truss franco-belge
de tramways et d'electricite“-ს
წარმომადგენელის ბ.ნ ჰეტის პირო-
ბანი უფრო სასარგებლოდ სცნო ქა-
ლაქისათვის. ამ საზოგადოებამ კონ-
ცესიის ვადად 36 წელიწადი და
ექვსი თვე აღნიშნა. საზოგადოება
თანახმა პირველხანს აძლიოს ქალაქს
ყოველ წელიწადს იმ 115,000 მა-
ნეთს გარდა, რომელიც უსახელო
საზოგადოებას უნდა ეძლიოს წელი-
წადში, 15,000 მანეთი, ხოლო შე-
მდეგ, როდესაც ქალაქი ნება-რთავს
მიიღებს ცხენის რკინის გზა ელექ-
ტრონის ძალით აწარმოოს, გადას-
დოს ხოლომე ქალაქის სასარგებლოდ
წელიწადში საერთო მოგებიდან
8 1/2%. პირველ ხუთ წელიწადს ქა-
ლაქი მიიღებს ყოველ წელიწადში
მოგებიდან 8 1/2%.-ს, ანუ არა ნაკ-
ლებს 50,000 მანეთისას, შემდეგ ხუთ
წელიწადს 9%, ანუ 60,000 მან.
მესამე ხუთ წელიწადს 9 1/2%.-ს, ანუ
65,000 მანეთს, მეოთხე ხუთ წე-
ლიწადს—10%.-ს, ანუ 75,000 მან.
და უკანასკნელ წლებში 11%.-ს ანუ
80,000 მანეთს.

••• გავ. „ახ. მიმ.“-ის სიტყვით,
ბრიტანის საბიბლიო საზოგადოების
განყოფილება, სინოდის საქართვე-
ლოს კანტორის ნება-დართვით, უკვე
შესდგომია მოსე წინასწარმეტყვე-
ლის ხუთის წიგნის ბეჭდვას. წიგნი
მხედრულის ასოებით იქმნება დაბე-
ჭილი და ძალიან იაფად ეღირება.

••• იმავე გაზეთს ბორჩალოს მაზ-
რიდან ატყობინებენ, რომ მაზრის
უფროსმა კერძო კაცებს თოფები

ლში ფიქრობდი ორის-სამის წლით
დარჩენას; მაგრამ შემდეგ რა-კი ახალ-
გაზდა ინგლისელს ქალზედ ჯვარი და-
ვიწერე, ბოშების მოხელის ქალიშვილ-
ზედ, წამოსვლა აღარ მიფიქრია, მით
უფრო, რომ ჩემი სხეული უფლებლივ
იტანდა ცხელის ქვეყნების ჰავას.

— ღონდენი შეჩერდა, ღრმად ამოი-
ოხრა და განაგრძო:

— თხოუთქვით წლის ცოლს ქმრო-
ბის შემდეგ ჩემს ცოლს გველმა უკ-
ბინა და გარდაიცვალა. მას შემდეგ
ჩემ სამეცნიერო გამოკვლევას ერთი
მიმართულება მივეცი: დავიწყე გვე-
ლის შხამის გამოკვლევა, გადავწყვი-
ტე, მთელი სიცოცხლე შეემწირა და
იმის წინააღმდეგ რამ საშუალება მე-
პოვა. რასაკვირველია, მიხვდებით,
რომ მე ეს ვერ მოვახერხე, რადგან,
წინააღმდეგ შემთხვევაში, საქვეყნოდ
სახელგანთქმული ვიქნებოდი.

— რალაცა მახსენდება, — შენიშნა
ვალდინგმა: ვილციის თხზულებაში
წავიკითხე ამ საგნის შესახებ და თქვენს
გამოკვლევას დიდად აფასებდნენ.

— ღონდენმა ურწმუნოდ გაიქნია
თავი.

— საქმე ეგ არ არის. ცოლის სი-
კვდილის შემდეგ მყუდრო, განცალ-
კევებული ცხოვრება დავიწყე და
მხოლოდ ჩემმა ერთად-ერთმა ქალმა
ელლიმ გამიბრწყინა და გაათბო ეს
ჩემი ბნელი და ცივი სიცოცხლე.
იგი თვარმეტის წლისა იყო, როდესაც
საუბედურება შეგვემთხვა. ჩემის გა-
მოკვლევისათვის საჭირო იყო, რასა-

დაურთავა ავაზაკებთან საბრძოლვე-
ლად. ერთმა მათგანმა, ვილცი
მეობსტენმე, მოპკოა ამ დღებში
ავაზაკი — თათარი, რომელიც მოკ-
ლულის ხეჩოს ავაზაკთა ბრბოს ეკუ-
თვნოდა.

••• სატახტო ქალაქის გაზეთები
სწერენ, რომ გზათა მინისტრმა ბათუ-
მის სანაეთ-სადგურთა საშუალოთა ხელ-
მძღვანელად და ზედამხედველად ინ-
ტენერი ბალიცკი დანიშნა.

••• გავ. „ახალ მიმ.“-ს დღემთ-
ატყობინებენ პეტერბურგადგან, რომ
კავკასიის სამთო განყოფილების უფ-
როსი დევი დანიშნულ იქნა სამთო
საბჭოს წევრად, ხოლო ტფილისის
გუბერნატორის კანცელარიის გამგე
ტარიუტინი — ტფილისის გუბერნიის
სავლეთო საქმეთა საკრებულოს წევრ-
საქმის-მწარმოებლად.

••• ქ. შემახიდან სწერენ „ნორ-
დარს“, რომ 13 სექტემბერს მოვი-
და ბოქაული სოფ. კილაბანში აღ-
გილობრივ გლეხთა საჩივრის განსა-
ხილველად. გლეხები უჩივიან შე-
მახის მეფაშვილებს სომხებსა და თათ-
რებს. ამ მეფაშვილების იმდენი ვალი
დასდებიათ გლეხებს, რომ მთელი
თავისი ქონება რომ გაჰყიდონ, მა-
ინც ვალის მეოთხედს ვერ აუფრავ.

••• ს. დეისი, (შორაბნის მახრა).
ს. დეისი სძევს რკინის გზის სადგურ
მოლითიდან სამის ვერსის მანძილ-
ზედ. ეს სოფელი ქებულია სალი ჰა-
ერით, ცივი წყაროებით და მდიდარია
პურ-ღვინით. მოსავალი ქირან-
ხულისა კარგი იცის; წელს მეტად
ასხია ვენახს, მეტადრე ხეირობს ის
ვაზი, რომელსაც სახელად „რკა“
ეწოდება. დეისელები ვირჩევიან ტა-
ლანში გზების უფარგისობის გამო.
არ იქნება ურიგო, რომ ჩვენი ბო-
ქაული ყურადღებას მოგვაქცევდეს.

კვირველია, ცოცხალი გველები,
რომელთა შორის ბოშების ძნელი
არ არის. მათ შორის განსაკუთრე-
ბული ჯიშის — საყურებიანი გველი
ბლომად მოიპოვება; ინდოელთა შო-
რის არიან ისეთნი, რომლებსაც ხე-
ლობად გველების დაჭრა აქვთ და ამ
საქმეში საკვირველს სიყოფილესა და
ცოდნას იჩენენ. ერთს მათგანს ჩემ-
თან მოჰქონდა ხოლომე გველები, რა-
მდენიც და როცა-კი დამჭირდებოდა,
და მეც, რასაკვირველია, ყოველთვის
სიფრთხილით ვმხრობდი. ჩემი სახლი
ბალის წინ იყო გაშენებული, და მეც,
იქაურ ჩვეულებებისამებრ, დიდძალი
მოსამსახურე მყავდა. ერთს დილას
წვილი-კვილით მოირბინა ჩემთან
ახალგაზდა მოსამსახურე ქალმა, რა-
მელიც ჩემს ქალს ემსახურებოდა, და
შემატყობინა, რომ ელლის ოთახში
გველი ვნახეო. შიშისაგან თითქმის
ქუუ-დაბნულმა სანადირო თოფს
წამოვავლე ხელი, რომელიც მუდამ
გატენილი ეყუდა ჩემს ოთახში, და
ჩემი ქალის საწოლთან მივირბინე.
კარი ღია დამიხვდა, ელლი სუბუქ
ქვეშაგებში არხეინად იწვა და სოფლე-
მდა. თითქოს მხრებიდან დიდი სა-
პალნე ჩამომხსენსო, თავისუფლად
ამოვიუსუნტე: ჯერ არაფერი შემთხ-
ვევია და, ეტყობა, არავითარი გვე-
ლი არა ყოფილა-მეთქი. ის იყო კა-
რების ზღუდზედ უნდა გადამედგა
ფეხი, შევნიშნე, რომ რალაცა ჰმოძ-
რაობდა ფანჯრის ქვეშ და შემდეგ
ნათლად გავარჩიე მოხვეული საყუ-

••• რკინის გზის ტფილისის სადგურის
მოხელეს ცოლმა ქ. ნა შმიდტმა 18
სექტემბერს გამოუხსადა პოლიციას, რომ
ჩემი ქალი თამარა, 14 წლისა, დედთა მე-
ორე გინაზიის მოსწავლე, გინაზიაში წა-
ვიდა და შინ აღარ დაბრუნებულა. პო-
ლიცია უკვე შეუდგა დაკარგულის ქალის
ძებნას.

••• კვირას, 20 სექტემბერს, მოხდა და-
მტებთან არჩევანი მოქალაქეთა დეპუტა-
ტების. არჩეულ იქნა წინანდელ კრებაზედ
არ არჩეული 27 დეპუტატი და ერთად
მანველოვის ნაცვლად, რომელმაც დეპუტა-
ტობაზედ უარი განაცხადა. კრებას 43 აღ-
მომხრეველი დაესწრო. კენჭის ყრით არჩე-
ულ იქნენ: გეურქ არუთინოვი, პეტრე ხო-
სროვი, არტემ ვილიოზოვი, თომა არუთი-
ნოვი, ლახარე ზალივი, გეურქ კარაჯივი,
პანტლევი ბრენინივი, აბრამ ბიდერმანი,
ისააკ გარეწლოვი, ნიკიტა სკორობოდოვი,
გრიგოლ ჯაღატოვი, ალექსანდრე დრევიჩი-
ვი, ივანე პერეხლავცივი, ზაქარია ზახი-
ვი, ივანე ყაითმაზოვი, გრიგოლ ანაზარო-
ვი, ივანე გაილუოვი, თომა ჯანაოვი, რუ-
ფინ ფელდშტეინი, სიმონ მუქელიძე, სტე-
ფანე ალუნაოვი, სტეფანე მირზოვი, აკოფ
აკოფოვი, ალექსანდრე მურადოვი, გიგაური,
მ. არუთინოვი, აბგარ ათაბეგოვი და
გურქ ტერ-ჯანიანივი. არ ამოირჩიეს არტემ
ოპანეხოვი, რომელმაც მესამედ დიდგა საა-
რჩევნაო ყუთი, მათე ყაბივი, გეურქ მურა-
დოვი, ივანე არუთინოვი, სტეფანე მელიქი-
თოვი, გეურქ ხეჩატუროვი, სოლომონ ხა-
სადაროვი, გეურქ ტერ-შენდლიანივი, ზაქა-
რია ცომაია, სიმონ მიწვევი, ალექსი დონ-
დარევი, გრიგოლ ვილიბაროვი, იოსებ ქუ-
რდოვანიძე და არტემ სუქიასოვი.

დაბატ სოფელი

(მოწერილი ამბები)

ს. დეისი, (დეისხეის მახრა).
დეისის საზოგადოებას ეკუთვნის
სოფლები: დეისარი, უესკარი, ნას-
პერი, ლესინდა, ღასხანა, მახშია,
ღასურაში და გეირაში. დეისარი
სქესს ქ. ქუთაისადგან 60 კერსის მან-
ძაზედ. ამ სოფელში მამაკალი მოგ-
ზაური ქუთაისადგან უნდა წასულიყო

რეზინი გველი. ბევრი აღარ მიფიქ-
რია და თოფი მოვიზადე, მაგრამ ამ
დროს საშინელი ხმა მომესმა ჩემის
ქალის ლოკინიდან, რამაც ისე
იმოქმედა ჩემზედ, რომ ხელი
ისევ ძირს დაუშვი. ამგვარი ხმა მხო-
ლოდ მწვევე ტყვილს, ან რაიმე
გამოუთქმელ შიშს შეეძლო აღმოე-
ხეთქა ადამიანის გულიდან. მოვბრუ-
ნდი და მწუხარებით გავშეშდი. ელ-
ლის სახე, რომელიც ჩემსკენ იყო
მოართული, ისე ვაკვირდებოდა,
როგორც მომაცდევს, მის განიერად
გაქვეტილ თვალებს გამოუთქმელი
შიში ეტყობოდა. ოდნავ, ოდნავ
გასაგონი ხმა გამოისმა იმის გაფით-
რებულ ტუჩებიდან: „მამა, ნუ ესერი!
აქ კიდევ გველიაო!“ ეხლა-კი მიხვდი
იმისის შიშის მიზეზს. ვხვდავდი, რომ
ვერაფრთ ვუშვებოდი: ფანჯრის წინ
მწოლიარე გველი მარტო არ იყო.

მეორე უფრო უზარ-მაზარი გორგა-
ლივით დახვეული იწვა ჩემის ქალის
აბრეშუმის საბანზე იმის თავის რამ-
დენისამე გოჯის სიახლოვეს. ენა გა-
სარსარებით თავი ასწია მცურავმა,
მაგრამ მალე ისევ დაჰმალა. ეტყო-
ბოდა, გველი კარგად ჰგონობდა
თავის თავს რბილ, მშვენიერ სა-
წოლზედ და სრულიადაც არა ჰფიქ-
რობდა ამ ადგილიდან განშორებას.
საკმარისი იყო მცირეოდენი მოძრა-
ობა ჩემის ქალისა, რომლის ტანი
გველის ქვეშ იყო, ან რაიმე ხმაუ-
რობა ოთახში, რომ გაბრახებული-
ყო წყეული არსება; ამასთანავე კა-

რატა-დგენსოვის გზატკეცილად გეურქ
აღსანამდე, სადაც შე-ნაშ კერსზედ უს-
და გადახევა და შექოლოდა დ. ლაი-
ლამის გზა-ტკეცილს, რომელიც მია-
კვანება მდ. ლაქანურას ნაპირზედ სა-
თავისაგან; მეორე გზა მიდიდა ამ
სოფელში მე-46 კერსის შექმდეგ გვი-
რისა და ღელის ნაპირზედ, მაგრამ ისეთი
ეიწრო იყო და დაკავებული, რომ ფე-
ხით მოგზაურსაც უჭირდა გასვლა, თა-
რემ ცხენსანს როგორ შექმედა: მარ-
ცხნივ თვალ შექმედა უფსკრული,
რომელშიაც გეულოვით მოკვანება გვი-
რისა და ღელა და მარჯვნივ გადმოშე-
რილი გვადებდა, მოსარდგევად მომსა-
დებულნი, გულის ფრთავს აუტყეს მო-
გზაურს, სიჩქარით გარბის იგი და
თან მარჯვნივ და მარცხნივ იხედება,
იქნება გაგასწრო ამ ადგილსაო. მეტად
გატკივებულნი იყვნენ აჭაურები ამ უსე-
ნო გზისა გამო, რადგან ყოველთვის
ლალაშის გზით მოკლავდნენ შექმელები
ყო. მაზრის უფროსმა ბ.ნა ზურაბ
უფთასმა მიაქცია მას ყურადღება და
განკარგულმა მოახდინა, რომ ეს გზა
გაუფართოებინათ: ამისათვის გამოიწ-
ვია თვითოეულ სამამსახურისადგან
მუშები და გაატკრეს მშენებელი გზა;
დღეს არა თუ ქვევითნი და ცხენსან-
ნი, არამედ უმრავლესი მიდი მოდიან ამ
გზით; სწორედ დიდის მადლობის ღი-
რსა მაზრის უფროსს ასეთის კეთილის
საქმისათვის.

ჩვენს სოფელში მოსავალი კარგი
იღის: აქ ნახევრად სიმინდს სთესვენ
და ნახევრად შურს; მშენებარი უხვია
წელს აქეთ; როგორც სიმინდის, აგრე-
თვე შურის უხვად საქება იყო; კან-
ხუისად რეგანანდ ასხია და კარგის მო-
სავლის შარი უჩანს. საზოგადოდ რომ
ესთქვათ, შურდენით ეს სოფლები
მიდიან, ხოლო ფუფით კი დარბა,
ჭაერი და წყალიც ხომ უჭეუთა არს; და
მიამბუნება. სწავლა-განათლების მხრე
კი ეს სოფლები კერ არის საქება: თუ-

რად ვიცოდი ჩემის დედის ხნის
დაკვირვებით, რა საშინელის სისწრა-
ვით ჰქებნდა ამ ჯიშის გველი თა-
ვისს მსხვერპლს, რომლის შემდეგაც
მორჩენის იმედი სულ არ არის ხა-
ლომე.

მოხუცი გაჩუმა. ვალიგერს სუ-
ლი უგუბდებოდა ალელგებისაგან,
მერე, მერე? შეეკითხა იგი.
— ელლი კარგად ჰხედავდა სა-
შიშს მდგომარეობას, თითქმის აუ-
ცილებელს განსაცდელს. იგი გაყუ-
ჩებული იწვა, რადგან იცოდა, რომ
უფრო მოსალოდნელი იყო, რომ
გველს დაეკინა, ვიდრე იმის იქით
ვადგდებამ მოასწრებდა. თუ რაიმე
შველა შეიძლებოდა, უნდა უმკვე-
ლად სხვას აღმოეჩინა. ჩემი ტენი
ცივ-ცხელბა შეყრილსავით ჰმუშა-
ობდა და სცდილობდა რაიმე საშუა-
ლება გამოეძებნა იმის საშველად,
მაგრამ ამაოდ. თოფით ვერას გავხ-
დებოდი. ყოველი სხვა საშუალება
აუსრულებლად მიმჩნდა, ამიტომ
რომ ჩემი ქალის საწოლიდან ისეთ
მანძილზედ ვიყავი, რომ ჩემს განძ-
რევისათანავე გველს შეეძლო ეკვი
აელო. კარებში ვიდექი, გაკლდე-
ბული როგორც ქანდაკება რამ. კარ-
გად არ მახსოვს რამდენმა წამმა ვაი-
არა ამ მდგომარეობაში. მოსამსახუ-
რე ქალი თუმცა შეშინდა, მაგრამ
ჩემზედ მეტი გულადობა გამოიჩინა.
მიხვდა რა საშიშს მდგომარეობას და
გაკვირვებდნენ თავის დაუხსნელობას,
იმ წამსვე გაჰქანდა სხვა მოსამსახუ-

მგა ამ საზოგადოებაში ოც წელზე მეტად, რაც არსებობს ერთგულად სანდო სარწმუნოებას, მაგრამ ხალხი მდინარე თანაკრძობით ეკიდება; ბავშვებს ხანდახან დიდს თაყუდინს გამოაჩენს შეუძლებელი სკოლაში სიარული (ამის გამო აქ მოსწავლეებს ხანდახან ითხოვენ და არა ზაფხულში) და ზაფხულში მშობლებს მიჰყავთ სამუშაოდ, რის გამოც სწრაფად დადიან სკოლა. ეგვიპტეში აქეთ კვირა უკვე დღეს ათს გაცივს ქანახით. დღესასწაულებს მიტოვება კარგად იცანს და უჩუბრად ჩაივლის ხალხი. ამ საზოგადოებაში ირანებს 400 კომლი მტკარებელი.

ვლადიმ ბზენელი

ნარკვევი

(ეურნალ-გაზეთებიდან)

გაზ. „Нов. Вр.“ სწერს: „ვინა სწავლობს ენა სამეურნეო სასწავლებელში? აქაურ მოწვევით ნახევარი წარმოდგენს იმ მოწვევით, რომელთაც სხვა სასწავლებლებში ბედმა უშუბთა და სწავლა ვერ დაამთავრეს, ან კიდევ ისეთის ღარიბის ოჯახის შვილი, რომელთაც დიდ ბედნიერებად მიანიჭათ სწავლის დამთავრების შემდეგ საღმრთო სამსახური იშოვონ და 25-40 მანათი ჰქონდეთ თვეში ჯამაგირი. უფრო მცირეა ამ სასწავლებლებში რიცხვი მემამულეთა შვილებისა, რომლებსაც შეძლება ექმნებოდნენ მიღებული სწავლა გამოეყენებინათ თვისი მამულის გასაუმჯობესებლად. ეჭვი არ არის, რომ სამეურნეო სასწავლებელში უპირველეს ყოვლისა მიღებულ უნდა იქმნენ მემამულეთა შვილი და იმედია, ამ გაუმჯობესებლად ყურადღებას მიაქცივს მიწა-მოქმედების სამინისტრო და თუ კარგად იქმნება დაყენებული საქმე, მალე მრავალი სამეურნეო სასწავლებელი დაარსდება, რადგანაც მოთხოვნილება ასეთის სასწავლებლისა თანდათან მატულობს. იმედია უნდა ვიქონიოთ აგრეთვე, რომ ასეთ სასწავლებლებს მიაწვდებიან მემამულეთა შვილი და აქ შექმნილის ცოდნით

მამულის მოვლას ირჩევენ სხვა-და სხვა კანცელარიაში ცხოვრებას, რომლებშიც დიდი ხანია თანდათან ნაკლებია ადგილები. ამიტომ საჭიროა, რაც შეიძლება მალე დაარსდეს უმაღლესი საბაღოსო სასწავლებელი.

რუსეთი

ამ რამდენიმე დღის წინა დროს ვრობამ ნება დართო, რომ პეტერბურგში მოწვეულ იქმნას სრულიად რუსეთის კბილის ექიმთა და დანტისტთა კრება. კრება დაიწყება მომავლის წლის 10 ივლისს და გასტანს 15 ივლისამდე. პეტერბურგში არსდება კერძო სატოპოგრაფო სასწავლებელი. სწავლის ვადა ამ სასწავლებელში სამი წელიწადი იქმნება. მიიღებენ ჯერ-ჯერობით მხოლოდ 40 კაცს. — საერო განათლების სამინისტრომ ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ დონის როსტოვსა და მარიუპოლში სატენიკო სასწავლებლები იქმნას დაარსებული. გარდა ამისა როსტოვში ახრდა აქეთ სახელოსნო სასწავლებელიც დაარსონ. — კარგა ხანია რაც ორ ქალაქ ნიკოლაევსა და ოდესას შორის დავა ატეხილი იმის შესახებ, სად უნდა იქმნას დაარსებული სატენიკო სასწავლებელი — ნიკოლაევსა თუ ოდესაში. ამ დღეებში საერო განათლების სამინისტრომ ეს დავა ოდესის სასარგებლოდ გარდაწყვიტა: სატენიკო სასწავლებელი ამ ქალაქში იქმნება დაარსებული. სასწავლებელს ორი განყოფილება ექმნება: სამექანიკო და აღმშენებელი. დაარსდება იგი 1900 ან 1901 წელს. ამ დღეებში სამინისტროს სამრეწველო დეპარტამენტმა უკვე მოსთხოვა ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ამ სასწავლებლისა.

— ახრდა აქეთ ტომსკის უნივერსიტეტთან დაარსონ ახალი სამეცნიერო საზოგადოება. საზოგადოებას სახელად „აზია“ ეწოდება. უმთავრესი საგანი ამ საზოგადოებისა აზიის ისტორიულად და ეტნოგრაფიულად შესწავლა იქმნა.

— უმაღლესად ნება დართულ იქმნა, რომ ხარკოვის სატენიკოლოგო ინსტიტუტს ამერიკიდან სახელი „იმპერატორის ალექსანდრე III ის ხარკოვის ინსტიტუტი“ ეწოდოს.

— შემოწმებულ იქმნა ახალი პროექტი იმის შესახებ, რომ ხივა და იმიერ-კასპიის მხარე რკინის გზით იქმნას შეერთებული.

— მოსკოვში ახრდა აქეთ დაარსონ ახალი საპროფესიონალი სასწავლებელი, სადაც განათლებულ მოახლეებს მოამზადებენ. ამ სასწავლებლისათვის შენობა უკვე მზად არის. სასწავლებელში მიიღებენ ობოლ და უპატრონო ბავშვებს.

— „Русс. Вѣд.“-ი იუწყება, რომ ამა წლის 15 ოქტომბრიდან ქ. კოსტროვაში ახალი გაზეთი გამოვა „Костромской Листок“-ი. მთავრობამ უკვე დაამტკიცა პროგრამა ამ გაზეთისა. გაზეთი კვირაში სამჯერ გამოვა. ედირება წელიწადში სამი მანეთი. „Рост. Л.“-ის რედაქტორ-გამომცემლად ქ. ანდრეიკოვისა იქმნება.

— სასამართლომ უკვე დაასრულა იმათი საქმის განხილვა, ვინც ანდიუანში აჯანყება მოახდინეს და ჯარისკაცები ამოსწყვიტეს. ამ საქმის გამო დაპატიმრებულ იქმნა სულ 546 კაცი. მაგრამ მაშინვე განათავისუფლეს 131, დარჩა 415. სასამართლომ განიხილა რა მათი საქმე, 12 კაცი სრულიად გაამართლა, ხოლო 382 დამნაშავეს მიუსჯა: სამს—საპრობილეში დაპატიმრება, დანარჩენთ ჩამორჩობა. მაგრამ აღ-

გილობრივის მთავრობის უშუამდგომლობის გამო ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა, რომ 362 კაცს სიკვდილის ნაცვლად გარდაეწყვიტოს: კატორგაში გაგზავნას: სამს—უვადოდ, 147-ს—20 წლ., 41-ს—15 წლით, ერთს—13 წლ., ერთს—8 წლ., 147-ს—7 წლ., 4-ს—4 წლით; 15-ს—ციმბირში გარდასახლება და 5 ს—საპრობილეში დაპატიმრება.

უცხოეთი

საფრანგეთში. რაც უფრო ახლოვდება დრეიფისის საქმის ხელ შეკრება დასინჯვის დრო, საფრანგეთის საზოგადოებას მით უფრო დიდი მღელვარება ეტემა. ეგვიპტეში მომეტეულად, ეგრე წოდებულს, „პატრიოტთა ლიგის“ და მისის მეთაურის დრეიფისის მოქმედება ახერხებს ამ შეთქმულთა საფრანგეთის ურთაქმნის. ეს ლიგა ჰირეულად 1882 წელს შესდგა ამ განზრახვით, რომ საფრანგეთის მხედრობის გაწმენისათვის სული შეეწყო, რისთვისაც დაასრულდებინა საემისტიკო და სხვა ამგვარი საკარგო მოქმედება. ლიგის წევრების უფლება ჰქონდა მხოლოდ ფრანგს, რომელიც სესისას, რომელ ზღაბიტიკურ მოქმედების მიმდევარად უნდა ეთიფილიყო მისადავი, იგი არავითარ შინაურს ზღაბიტიკაში არ უნდა გარეულიყო. ამას აშკარად გამოქვეყნდა ლიგის წესდების 32 მუხლი, სადა ნათქვამია: „ლიგის დახმარებას არ შეადგენს არც შინა ზღაბიტიკა და არც საწმენო ნიუბა“. მაგრამ საქმიანობა უნდა წინადადებოდა დამტკიცდეს. მაგალითად, 1887 წელს ამ ლიგამ უკვე დაინიშნა ისმარა, რომ გენერალ ბუფანეს გაემარჯვებოდა.

რეი იგი გულმოდგინე მისწავლიდა იღებდა ამ დაჯიდადნაში, რომელიც ხანამის საქმე გამოიწვია. ამ ბოლო ხანებში, რაც დრეიფისის საქმე გამოუტყვრა საფრანგეთს, პატრიოტული ლიგის საქმიანობა წესად დასრულდა. 13 სექტემბერს კრება ჰქონდა ლიგის, რომელსაც ორი ათასი კაცი დაესწრო. დრეიფისის კრებაზე სიტყვა წარმოასთქა, რომელშიც სასტიკად ჰქცობდა დრეიფისის საქმის გადასინჯვის მომხრეთ. ორატორი ეგვიპტეში უფრო ძლიერ შეეხრა კლემენსოს, უორესს, ტარაიეს და მთავარ მინისტრს ბრისანს, რომელიც, მისის მხრით, დრეიფისის მომხრეებისაგან არიან მოქრამულნი. თუ რეკლამაცია მოხდა, სიტყვად დრეიფისის, ეს ოთხი კაცი საწმენო ზღაბიტიკად დაეკენ სულს, რომელსაც ჰირეულად კლემენსოს მოუხდას ასკლავა. დრეიფისის სიტყვით, ეგვიპტე ფრანგი, რომელიც დრეიფისის საქმის გადასინჯვის მისარე უტყვას, საშობლოს მთავარად და ის არაინ არ უნდა დაინდოს სასიკვდილოდ. დრეიფისის სიტყვა კრებამ დიდის აღტაცებით მოასმინა და არავის კინტი არ დაუძვავს ამის წინადადება, ერთი კაცის მტრს, რომელიც კრებიდან მამინეკ გასიქვებს თურმე.

— საკარგელს ამბავს იუწყებიან გაზეთები. სწერენ, ვითომც ამ ორის წლის წინად, მთავრობის ნება-რთვით, დრეიფისი ჩუმიად გაუმარბინოთ საშობობილად და მის ნაცვლად იქ სხვა კაცი დაემუქვდით, რომელიც დიდი ფულის გულისთვის ამისა თანხმად მსდარაყოს. დრეიფისი სამხრეთ ამერიკაში წავიდა, ამბობენ იგივე გაზეთები, და იქ ასრინად სტროგროვს სხვა სხეულით. საფრანგეთის მთავრობამ აღარ იცის, რა მოახერხოს, თუ დრეიფისის პარიში მოკვანს სტროგროვი იქმნას.

რეების შესატყობინებლად; ამ დროს ჩემს ახლოს ფეხშიშველად ინდოელმა გამოიარა და კარებთან იატაკზედ გაფენილ ხალიჩაზედ ჩამოსკუპდა. ტუჩებთან პატარა სალამური მიიღო და დაუკრა; ასეთი ხმა ხშირად გამოიონია იმათან, ვინც გველებს აჯადოებს ხოლმე. მწოლიარე გველმა მაშინვე თავი კარგა მალდა ასწია და ყბები გაიბერა, მეორე-კი ნელ-ნელა მიხობდა ინდოელთან, რომელიც უშიშრად უკრავდა, ერთის ადლის მანძილზედ გაიწერა მკურავი და თავს ქანაობა დაუწყო ხან აქეთ და ხან იქით; ამ დროს მას სრული კმაყოფილობა ეტყობოდა. წარმოიდგინეთ, რავგარ ყურადღებას ვაქცივდი ჩემი ქალის მდგომარეობას და რა ნაირი გრძობა არ გამოვცადე. როდესაც, ბოლოს, დიდი გველიც გადმოცოცდა საწოლიდან, სალამურის ხმით მიზიდული, თოფი მოვიშარდე და ორის სროლით სიცოცხლე მოუსწრაფე.

მყოფობის დროს, ზეციურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი სხეულით სრულიად განთავისუფლდა.

— გველები, შეაწყვეტინა მხატვარმა, თქვენი ქალის ოთახში რა ნაირად გაჩნდნენ?

— რასაკვირველია, თითონ არ გაჩნდებოდნენ სახლში. ისინი მოეყვანა იმ კაცს, რომელსაც მოჰყავდა ხოლმე ჩემთვის, საზოგადოდ ჩემის კვლევა ძაბისათვის. მე და ელლი იმ დროს სტუმრად ვიყავით და მომყვანს ორივე გველი მოსამსახურისათვის ჩაებარებინა, ამასაც დაუკეტავ ფარდულში დაეწყო. კალათიდან როგორ მოახერხეს გამოპარვა, არ ვიცი. აღბად ზარმაცმა ინდოელმა მაგრად არ დახურა კალათის თავი.

— ის ინდოელი, რომელმაც თქვენი ქალი სიკვდილს გადაარჩინა, მოსამსახურე იყო?

— არა! ეს ის კაცი იყო, რომელიც რამდენსამე თვის წინად ავადმყოფი ვიპოვე ქუჩაში. „შეაქალაქეში“ იმის გადაყვანა არ იქნებოდა, ამიტომ სახლში წამოვიყვანე და მალე მორჩა. როდესაც გამოუტყდა, რომ განთავისუფლებული ხარ ავადმყოფობისაგან და სადაც გინდა, შეგიძლიან წახვიდე-მეთქი, ხვეწნა-მუდარა დამიწყო, რომ ჩემთან მოსამსახურედ დამენარჩუნებინა. რადგან მომეწონა, დავტოვე; მას შემდეგ იგი ფიქრშია აღარ მომსვლია. ამ შესანიშნავ დილას მან ძველი ვალი

გარდამიხანდა იმ უბრალო დახმარებისათვის, რომელიც მე ვაუწყებ; მხოლოდ ენა ვაგიგე, რომ იგი სოფელ-სოფელ დადიოდა თურმე წინად, როგორც თვალთ-მაქცი და გველების შემოლოცველი. უიმისოდ ჩემი ქალი განსაცდელს არ ასცდებოდა.

— ეს ამბავი არაკს ჰგავს. რომ გამახანდებდა, რაც თქვენ ქალს აუტანია, ყრუანტელი მივლის. მაგრამ მაინც არ მესმის, რა კავშირი აქვს ამ შემთხვევას ეხლანდელ იმის ავადმყოფობასთან? თქვენა სთქვით, რომ იგი უკვე სრულიად განიკურნა.

ლინდენმა თავი ჩაჰკიდა და მწარედ ამოიხრა.

— მე სხეულის განკურნების შესახებ ვთქვი, ყრუდ წარმოსთქვა მან: მაგრამ იმისმა გონებამ-კი ვერ აიტანა ეს უბედური შემთხვევა. ესლაც რალაკები ელანდებ; ისე ეჩვენება ხოლმე, თითქოს გვერდით გველი მიუხობავს და იმის გულზედ იკალათებს დასაწოლად. იგი განუკურნავად სნეულია და ეს სნეულება ადრე თუ გვიან გონების შერყევად გარდაექცევა.

ლინდენს სიტყვებში ისეთი ღრმა, უიმედო მწუხარება ეტყობოდა, რომ გალიგერმა დაშოშინების იმედი დაჰკარგა და გაჩუმება არჩია, ვიდრე იგი ისევე თითონ არ დაიწყებდა ლაპარაკს. ცოტაოდენის სიჩუმის შემდეგ ლინდენმა აჩქარებით დაიწყო ლაპარაკი,

თითქოს უნდა მთელი დათავოს თავისი სამწუხარო მოთხოვნა.

— რასაკვირველია, ყოველი საშუალება ვინმარეთ, რომ განგვეთავისუფლებინა ელლი მტანჯველ მოჩვენებისაგან. ჩემი ამხანაგები დაბეჯითებით მიჩვენდნენ ინდოეთიდან წასვლას და მეც ავასრულე ეს რჩევა. მე და ელლი ჯერ იტალიაში წავიდეთ, იტალიიდან შევიცარიასა და იქიდან გერმანიაში. რის მოლოდინიცა გვქონდა ადგილის გამოცვლით, არ ავიტარებდა, სადაც უნდა ვყოფილიყავით, საღამ-საღამობით მაინც მოუვლიდა ხოლმე ხანდახან ავადმყოფობა. ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც მოჰქონდა საბრალოსთვის შეღავათი, როდესაც ავადმყოფობა მოუვლიდა, სალამურის ხმა იყო, რომელსაც დალინი უკრავდა. ამიტომ დალინთან ერთად ვატარებ ხოლმე ღამებს ელლის საწოლი ოთახის გვერდზედ. როდესაც იგი ცუდად ჰხდებდა, დალინი სალამურს უკრავს და მე-კი ისე ვიქცივი, თითქოს, ვითომ გველებსა ვხოცავ, რომლებიც ელლის ელანდეა. მაგრამ ასეთის სამწუხარო სცენების გამართვა შეუძლებელია როგორც სასტუმროში, ისე დაქირავებულ სახლში. საზოგადო ყურადღება და ცნობის-მოყვარეობა რომ არ მიმეპყრა, ეს მყუდრო სახლი შევიძინე და იმედი მაქვს, რომ ჩემი საიდუმლო ამ კედელთა შორის საიდუმლოდ დარჩება.

— რატომ არ გინდათ თქვენის ქალის ავადმყოფობა რომელსამე გამოჩენილ სულის ავადმყოფთა მკურნალს მიანდოთ?

ლინდენმა თავი მალდა აიღო და უცხად რალაკა ცვლილება დაეტყო. სახის კუნთები შეათამაშა, საფუთქლებზედ ძარღვები დაებერა და თვალები გაუბრწყინდა.

— მაგითი ის გინდათ სთქვით, რომ საგიეთში მოვათავსო? არა! არა, არა, ამ დღის მოსწრებას უფრო იმას ვეცდები, რომ მისი ტანჯვა ჩქარის, ჩუმის სიკვდილით მოესპო!

მოხუცი წამოხტა და ოთახში დაიწყო გაჯავრებით სიარული.

გალიგერი გაკვირვებით შესტყვროდა, ამაოდ აშოშინებდა, ეუბნებოდა, რომ თქვენ უფრო იცით, რასაკვირველია, როგორ მოექცე თქვენის ქალის ავადმყოფობასაო, და ლინდენი ძლიერ-ძლიერობით დაშოშინდა.

— მაშ ნამდვილს სიტყვას მაძლევთ, რომ ჩუმად იქნებით და ჩემს საიდუმლოს არავის გაუმხელთ? შეეკითხა იგი.

გალიგერმა დაუყოყმანებლ ივ მისცა პირობა.

— ნურა ვფიქრებათ-რა, თქვენს საიდუმლოს ვერავინ შეიტყობსო. ლინდენმა დაღვრემილის სახით შეჰხედა, ხმა არ გასცა და ოთახიდან გავიდა.

(დასასრული იქნება)

